91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №21 (7119) 5 ნოემბერი 2024 წელი

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2024

წინასწარი შედეგები

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო... ამომრჩეველმა ანუ ამომრჩეველთა ... პროცენტმა. საარჩევნო სუბიექტების მიხედვით სურათი ასეთია: 1119946 ხმით, ანუ არჩევნებში მონაწილეთა 53,928%-ით, უპირობო ლიდერია მმართველი პარტია „ქართული ოცნება“.
საქართველოს პარლამენტში შესასვლელად დაწესებული ხუთპროცენტიანი ზღვარი გადალახა ოთხმა ოპოზიციურმა საარჩევნო სუბიექტმა:
4—„კოალიცია ცვლილებებისათვის, გვარამია, გირჩი, დროა“ 229152 (11,034%)
5—„ერთიანობა—ნაციონალური მოძრაობა“ 211208 (10,17%)
9—„ძლიერი საქართველო—ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“—182914 (8,808%)
25—„გახარია საქართველოსთვის“—161500 (7.777%)

☞2

თერჯოლაში იუსტიციის სახლი გაიხსნა

სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო იზრდება. 30 ოქტომბერს თერჯოლაში იუსტიციის სახლის 123-ე ფილიალი გაიხსნა. ეს მისია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ შეასრულეს. შემდეგ, მათთან ერთად, ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა, აგრეთვე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ.

თერჯოლის იუსტიციის სახლი მოქალაქეებს თანამედროვე და კომფორტულ გარემოში მიაწვდის 500-ზე მეტ სერვისს. აქვე განთავსებულია სპეციალური სივრცე ქორწინების საზეიმო ცერემონიალისათვის. ფილიალი სრულად არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს.

ახალ იუსტიციის სახლში 15-მდე ადგილობრივი პირია დასაქმებული. ფილიალში განთავსებულია იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების ოფისებიც. მოქალაქეები აქ 500-მდე სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისს, კომფორტულ გარემოში მიიღებენ.

სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტია, რასაც საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლი უზრუნველყოფს; 2028 წლისთვის მათი რიცხვი 133-ს მიაღწევს, რაიონული ცენტრებისაგან მოშორებით მცხოვრებ მოქალაქეებს კი, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 90 სოფელში ემსახურება ინოვაციური პროექტი „მობილური იუსტიციის სახლი“.

უშუალოდ იმერეთის რეგიონში 26 იუსტიციის სახლია, მობილური იუსტიციის სახლი კი, რეგიონის 15 სოფელს ფარავს.

იუსტიციის სახლი ქუთაისის №2 პენიტენციურ დაწესებულებაშიც ფუნქციონირებს. ფილიალების მუშაობა ციხის ტერიტორიაზე ქართული ინოვაციაა და მას ანალოგი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ აქვს.

იუსტიციის სახლის გახსნას ესწრებოდნენ საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი, იუსტიციის მინისტრის მოადგილეები, სსიპ-ების ხელმძღვანელები, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში ლევან ზალკალიანი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საპატრიარქოს წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები.

იუსტიციის სახლის ფილიალის საერთო ფართი 818 კვადრატული მეტრია, რომელიც ქალაქ თერჯოლაში რუსთაველის ქუჩის №116-ში მდებარეობს. სამშენებლო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, შპს „სამშენებლო კომპანია №1” განახორციელა. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება 5 195 000 ლარია.

1☞

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2024

გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, ხუთპროცენტგადალახული ოთხი ოპოზიციური პარტია, ჯამურად ვერ აგროვებს ხმების ნახევარზე მეტს, ანუ მათ არ ექნებათ ბერკეტი კოალიციური ფორმით მაინც შეკრან უმრავლესობა და დააკომპლექტონ ახალი მთავრობა. უნდა აღინიშნოს, რომ პროევროპულმა ოპოზიციურმა პარტიებმა, არჩევნების წინასწარ შედეგებამდე, პირველივე ეგზიტპოლების გამოცხადებისთანავე გააპროტესტეს ხმის დათვლის შედეგები, მეორე დღესვე მოაწყვეს საპროტესტო აქცია, სადაც გააცხადეს რომ არჩევნები გაყალბდა, მოითხოვეს გამოძიება და ხელახალი არჩევნების ჩატარება.

ბუნებრივია ისმის კითხვა თუ როდის გამოქვეყნდება არჩევნების საბოლოო შედეგები.

იმის გათვალისწინებით, რომ შესასწავლია არჩევნების დროს დაფიქსირებული ყველა განცხადება თუ საჩივარი, რაზედაც საჭიროა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, საარჩევნო კანონმდებლობა ამ მიზნით ითვალისწინებს გარკვეულ პერიოდს—კერძოდ კი, საბოლოო მონაცემების გამოქვეყნებას არჩევნებიდან 26 დღე ანუ, ამ შემთხვევაში ბოლო თარიღი. 21 ნოემბერია, როდესაც ცესკომ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, საპარლამენტო არჩევნების შედეგები უნდა შეაჯამოს და შემაჯამებელი ოქმი გამოაქვეყნოს.

ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე დოკუმენტს საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს და ასევე, მას გამოსაქვეყნებლად „საკანონმდებლო მაცნეს“ გადასცემს, რომელიც ორი დღის ვადაში გამოაქვეყნებს.

პარლამენტის წევრთა მანდატები იმ პოლიტიკურ პარტიებზე განაწილდება, რომლებიც არჩევნებში ხმების 5%-ს მაინც მიიღებენ. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების რაოდენობაში ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა არ ჩაითვლება.

პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა 150-ზე მრავლდება და ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე იყოფა, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5% მიიღეს. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა.

იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლები იქნება, გაუნაწილებელ მანდატებს თანამიმდევრობით უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები მიიღებენ.

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან ორი დღის ვადაში ცესკო არჩეულ პარლამენტის წევრებს რეგისტრაციაში გაატარებს და მათ პარლამენტის წევრად არჩევის დროებით მოწმობას მისცემს.

ხმა მივეცი მშვიდობას—სტაბილიროობას

რეპორტაჟები საარჩევნო უბნებიდან

26 ოქტომბერს რამდენიმე უბანზე შევხვდით ამომრჩევლებს.

თერჯოლაში ყველა ერთმანეთს იცნობს. გარეთ, კოკისპირულ წვიმაში ხალხი რიგში იდგა და მეც მათთან ერთად ვიყავი ხშირ შემთხვევაში. „ჩვენ მხარს ვუჭერთ რაიონის ხელისუფლებას“, სტაბილურობა და მშვიდობა გვინდა.

„მშვიდობა ყოველთა“—ასე მიმართა მოწაფეებს მკვდრეთით აღმდგარმა უფალმა. მშვიდობა მინდა სახლშიც და ქვეყანაშიც; მე სიმართლის მხარეზე ვარ. ევროპა მინდა, ყოველთვის გვინდოდა, მაგრამ არა ღირებულებების დათმობით, ტრადიციების უარყოფის ხარჯზე; გვეუბნებოდნენ არჩევნებზე მოსულები.

გარეთ და შიგნით—საარჩევნო უბნებში ყველგან სიმშვიდე იყო, ქოლგებს თუ მანქანებს შეფარებულებს არ ეთმობოდათ ერთმანეთი. იყო მოფერება, მოკითხვა, „ათასი“ მოკითხვის დაბარება ოჯახთან...

საარჩევნო უბანი №1 (თერჯოლა)

უბანში (თავმჯდომარე გურამ ფანჩულიძე) ამომრჩეველთა განსაკუთრებული აქტივობა 11 საათიდან დაიწყო, 12 საათზე ძირითადი სიის 2308 ამომრჩევლიდან თავისი არჩევანი 483 ამომრჩეველმა გააკეთა, ხუთი საათისათვის 1157 ამომრჩეველს ჰქონდა ხმა მიცემული. უბანში მრავლად იყვნენ ადგილობრივი დამკვირვებლები და წარმომადგენლები, რომლებიც აკვირდებოდნენ არჩევნების მიმდინარეობას. დარღვევა არ გამოვლენილა. იყო შემთხვევა, რომ ხმის მისაცემად მოვიდა №2 უბნის ამომრჩეველი. ცხადია ხმა ვერ მისცა და უკმაყოფილო დარჩა, უფრო თავის თავზე. ხმის მისაცემად მოვიდა გადასატანი ყუთის სიის ამომრჩეველი, კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა უზრუნველყვეს და დაელოდნენ მასთან ოჯახში მისული კომისიის წევრებიც. ხალხმა გზა და რიგი დაუთმო ეტლით მოსიარულე ამომრჩეველს.

არჩევნების მიმდინარეობას გარკვეული დროის განმავლობაში აკვირდებოდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტის და ადამიანის ურთიერთობების ოფისის დამკვირვებლები მეთიუ დევიდ ქონგრევი და სტეფან ანდრეას ფლეიგი.

საარჩევნო უბანი №25—ჩხარი

ჩხარის №25 საარჩევნო უბანში (თავმჯდომარე ნელი გიორგაძე) ეუთოს დამკვირვებლები 25 ოქტომბერს იმყოფებოდნენ, რომლებმაც ნახეს არჩევნებისათვის მზადყოფნის პროცესი, უბანში თქვეს, რომ შენიშვნები არ ჰქონიათ. ჩხარში 1155 ამომრჩეველი იყო ერთიან სიაში. არჩევნების პროცესს 19 ადგილობრივი დამკვირვებელი და წარმომადგენელი აკვირდებოდა. 12 საათზე 293 ამომრჩეველი იყო მოსული, რომლებმაც კანონის დაცვით, მშვიდ და თავისუფალ გარემოში მისცეს ხმა. დარღვევები არ გამოვლენილა, პირველად მისცეს ხმა ახალგაზრდებმა: მარიამ ბრეგაძემ, ანა ფართლაძემ, ნინო ამირანაშვილმა.

საარჩევნო უბანი №11—ეწერი

ეწრის №11 საარჩევნო უბანში (თავმჯდომარე მელანო უკლება) არჩევნების პროცესს მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდა 17 ადგილობრივი დამკვირვებელი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებელი თინათინ მიქაუტაძე, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში წარმომადგენელი არჩილ წირღვავა.

ეწერში 1324 ამომრჩევლიდან 12 საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა 317 ამომრჩეველს, 5 საათზე 676 ამომრჩეველს. ჰყავდათ ამომრჩევლები, რომლებმაც პირველად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში—ქრისტინე ზარნაძე, კობა ბასილაძე.

ეწრის საარჩევნო უბანში საერთაშორისო დამკვირვებლები ხმის დათვლის პროცესს აკვირდებოდნენ.

საარჩევნო უბანი №22—სიქთარვა

სიქთარვის №22 საარჩევნო უბანში (თავმჯდომარე შოთა რობაქიძე) 1545 ამომრჩეველი იყო ერთიან სიაში, 14 საათისათვის არჩევნებზე მოვიდა 279, 16 საათისათვის 640.

აქ იყვნენ ეუთოს საერთაშორისო დამკვირვებლები, სტეფან ანდრეას ფლეიგი და მეთიუ დევიდ ქონგრევი.

უბანში გაგვიცხადეს, რომ მათ რაიმე დარღვევა არ დაუფიქსირებიათ.

უბანში ერთ შემთხვევაში შეჩერდა ხმის მიცემის პროცესი, დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი ვერიფიკაციის აპარატის გამოყენებისას.

გავეცანი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში გაკეთებულ ჩანაწერს, რომელიც გააკეთა დამკვირვებელმა სამართლიანი არჩევნებიდან, მაია გიორგაძემ. პირადად გავესაუბრე მას და თქვა, რომ ეს არ არის დარღვევა, რომ ვერიფიკაციის აპარატის უმნიშვნელო ხარვეზია. ყველას თანდასწრებით გაიხსნა გადასატანი ყუთი და ბიულეტინები შეიყვანეს ვერიფიკაციის აპარატში.

„შენ, ვინც პირველად მონაწილეობ არჩევნებში“

უბნებში, იმ ამომრჩევლებს, რომლებიც პირველად იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში, დაურიგდათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი კალანდარიშვილის სამახსოვრო—სამახსოვროში ნათქვამია—„აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შენი პირველი ნაბიჯი საარჩევნო უფლების გამოყენებაა, ეს არის შესაძლებლობა, წვლილი შეიტანო ჩვენი ქვეყნის მომავალში, მხარი დაუჭირო შენთვის საინტერესო საკითხებს, არჩევნები არ არის ტექნიკური პროცესი, ეს არის შანსი რომ შეიტანო შენი წვლილი შენი ქვეყნის მომავლის ფორმირებაში. ახალგაზრდების ჩართულობა საარჩევნო პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“.

საარჩევნო უბანი №2 (თერჯოლა)

მიუხედავად გადაუღებელი წვიმისა საპარლამენტო არჩევნები თერჯოლის №49-ე ოლქის №2 უბანში კანონის შესაბამისად დილის 8 საათზე დაიწყო. ადგილზე იყო კომისიის ყველა წევრი.

უბანზე მრავლად იყვნენ დამკვირვებლები.

პირველმა ამომრჩეველმა უკვე 8 სთ. 10 წუთზე დააფიქსირა თავისი პოზიცია.

უბანზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 1264. 12 საათისათვის უკვე რეგისტრაცია გაიარა და თავისი ხმა მისცა 280 ამომრჩეველმა. დღის ბოლოს მისულ ამომრჩეველთა რაოდენობამ კი 980 შეადგინა.

ხმის მიცემა აქაც მშვიდ გარემოში წარიმართა, ამომრჩევლებმა ყოველგვარი ძალდატანებისა და შეფერხების გარეშე დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია.

ხუთივე უბანი, სადაც პირადად ვიყავით, დროულად გაიხსნა და დროულად დაიხურა. იყო სიმშვიდე, მაღალი აქტივობა და ძალიან ცოტა ბათილი ბიულეტენები.

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამ კი ბევრად გაამარტივა ხმის მიცემის პროცედურა და შედეგებიც მალევე გახდა ცნობილი.

ჟუჟუნა ცხადაძე
მზია ცქიფურიშვილი

P.S. თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიაში სულ შევიდა 5 განცხადება-საჩივარი. აქედან 1 საკითხი უბანზე მოგვარდა, 4 საჩივარი კი კომისიაში შემოვიდა 29 ოქტომბერს. კომისიამ არცერთი მათგანი არ დააკმაყოფილა.

26 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ მოგაწვდით ინფორმაციას საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების შესახებ თერჯოლის №49 საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნების მიხედვით.

საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნების წინასწარი შედეგები თერჯოლის №49 საარჩევნო ოლქში

3 „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“ 61 (0.299 %)
4 კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა 2102 (10.292 %)
5 „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ 2551 (12.49 %)
6 „ევროპელი დემოკრატები“ 132 (0.646 %)
8 „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 623 (3.05 %)
9 „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ 1800 (8.813%)
10 საქართველოს ლეიბორისტული პარტია 97 (0.475%)
12 „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ 23 (0.113 %)
16 „შეცვალე საქართველო“ 140 (0.685%)
17 „საქართველო“ 21 (0.103 %)
20 თავისუფალი საქართველო 38 (0.186 %)
21 ტრიბუნა 27 (0.132 %)
23 „ჩვენ“17 (0.083 %)
25 „გახარია საქართველოსთვის“ 988 (4.837 %)
26 „მემარცხენე ალიანსი“ 14 (0.069 %)
27 ქართველ ერთობა 40 (0.196 %)
36 „გირჩი“ 393 (1.924 %)
41 ქართული ოცნება 111357 (55.606 %)

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

საამაყო პროექტი—ეს ძევრის ბაღია

71 წლის წინ გახსნილა ძევრში ბაგა-ბაღის ერთი ჯგუფი ძევრის საერთო ბინების ოთახში. ადვილი წარმოსადგენია პირობები, მაგრამ ეს დიდი მოვლენა იქნებოდა ძევრის ისტორიაში. ცნობილია მისი პირველი გამგე ნათელა ცირეკიძე, ჰქონდათ სხვა, ახალი ბაღი, 1990 წელს ახალი ბაღი აშენდა, ამ ბაღში აღიზარდა ბევრი თაობა, რომლებიც ძევრის შვიდწლიან თუ საშუალო სკოლაში იღებდნენ განათლებას. ძევრის სკოლა ჯერ ძველ შენობაშია, თუმცა არც ახლა ეშლებათ ხელი, სკოლა ერთ-ერთი მოწინავე იყოს. სკოლის მშენებლობა დაწყებულია, საძირკველი უკვე ჩანს, მომავალ წელს ძევრში ახალი სკოლა გაიხსნება და განმეორდება სიხარული, ისეთი, როგორიც ახლახან განიცადეს ძევრელებმა ახალი ბაგა-ბაღის გახსნით.

ერთი წელი ელოდნენ ძევრელები ამ ბაღს. მშენებლობა 1.200 ათასი ლარი დაჯდა. შპს „იმერთმშენმა“ ერგეეთის პროექტით უნაკლოდ შეასრულა სამუშაოები და დგას ახლა თანამედროვე სტანდარტების ბაგა-ბაღი ძევრში, მის მშენებლობის პროცესს ყოველდღე ადევნებდა თვალს მთელი სოფელი, ბაგა-ბაღის თანამშრომლები, პატარები.

ორმოცი აღსაზრდელი ეუფლება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს, 12-მა პირველად შეაღო ბაღის კარები და ვნახეთ ახალი ბაღის პირველი თაობა, ეს მათთვის პატარა ისტორიაა, ცხოვრების დასაწყისი, როგორც პირველი ნაკადისა.

ბევრი სტუმარი ჰყავდა ძევრს. სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე იმერეთის მხარეში ლევან სანიკიძე, მისი თანმხლები პირები. ბატონმა ლევანმა ლამაზი და ბედნიერი მომავალი უსურვა პატარებს, დამსწრეთ ბაგა-ბაღის გახსნა მიულოცა, საგანამანთლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ მადლიერება ერთგვარი ნიჭია, იგი ძლიერი გრძნობაა, უნდა გვქონდესო, მიულოცა ბაგა-ბაღის გახსნა არა მარტო აღმზრდელ-პედაგოგებს და პატარებს, არამედ ძევრის მოსახლეობას. სამადლობელი არ დაიშურა ბაგა-ბაღის დირექტორმა მაყვალა მაჩიტიძემ, განათლების პროფკავშირების ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პედაგოგმა ხათუნა გურულმა, მიულოცეს და წარმატებები უსურვეს პატარა აღსაზრდელებს, მშობლებს, ძევრელებს, საჯარო სკოლის დირექტორმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა მანუჩარ ფანჩულიძემ ბედნიერი დღე უწოდა ბაგა-ბაღის გახსნის დღეს—სწორედ ასეთი ბაღი ეკადრება ჩვენს ქვეყანასო—თქვა, ბაგა-ბაღის გახსნას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი, საკრებულოს რამდენიმე დეპუტატი, მერიის თანამშრომლების ერთი ნაწილი, თითქმის ყველა ბაგა-ბაღის დირექტორი, მშობლები, სოფლის მაცხოვრებლები. ბაგა-ბაღის გაერთიანების დირექტორმა, რომელმაც ღონისძიება გახსნა, სამადლობელი მერიის, სამხარეო ადმინისტრაციის, საკრებულოს და მისი თავმჯდომარის გია ბარათაშვილის მისამართით არაერთხელ გაიმეორა—„ბატონი მანუჩარი, მშენებლობის პროცესს ყოველდღიურად აკვირდებოდა, იგი ბევრს მუშაობს, რათა რაიონი წარმატებული იყოს, ჩვენც მიგვაჩვია 24 საათიან რეჟიმში მუშაობას, ჩვენ ვაფასებთ და მადლიერები ვართ ამ ზრუნვისათვისო“—თქვა მაია თორთლაძემ და ზედმიწევნით სწორად გამოხატა მერის დამოკიდებულება, „ჩვენი დირექტორები, ისინი, სადაც ჯერ კიდევ არ არის ახალი ბაღი ამბობენ—მეც მინდა ასეთი ბაღიო, დადგება დრო ამ სიტყვის თქმა, არ დაგვჭირდება“—თქვა ქალბატონმა მაიამ.

ბატონმა მანუჩარმა მიულოცა ბაგა-ბაღის გახსნა ყველას და მომავალი წარმატებები უსურვათ, ჩვენ კიდევ ბევრ სოფელს მივანიჭებთ ამ სიამოვნებას, ასეთი ერთიანობა და გუნდურობა იძლევა ამის თქმის საშუალებას, ჩვენი ხელისუფლების პირობებში 9 ახალი ბაღი, ამდენივე სკოლა მუნიციპალიტეტში, იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებში 50 ახალი ბაგა-ბაღი და ყველგან სხვადასხვა მიმართულებით რეაბილიტაცია, არ არის ადვილი. ამდენი ინფრასტრუქტურა არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ მოწყობილა, საამაყოა ეს პროექტიო...

მერე გაიჭრა ლენტი და ყველამ დაათვალიერა ახალი ბაგა-ბაღი, რომელიც უნაკლოა, ცენტრალური გათბობით, სრულიად ახალი ინვენტარით, ცალ-ცალკე ოთახებით, სამზარეულოთი, დარბაზი, საძინებელი, სამეცადინო-სათამაშო ოთახები, აქ ყველაფერი ახალია, კრიალა, საუკეთესო, ჯგუფებისათვის „ჭიამაია“ და „მერცხლები“ ყველა პირობაა, კოლექტივში ერთიანობაა, იგრნობა მათი და მშობლების თანამოღვაწეობა.

„ყველაზე ძვირფასი, რაც გაგვაჩნია“...

„ყველაზე ძვირფასი, რაც გაგვაჩნია, ეს ბავშვებია“—თქვა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და ზუსტად გამოხატა სათქმელიც და პირადი დამოკიდებულებაც თაობებთან მიმართებაში.

ამ დღეებში სოფელ ქვედა ალისუბნის ბაგა-ბაღი გაიხსნა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა. ბაგა-ბაღის დირექტორმა მადონა ქოჩიაშვილმა არაერთხელ გამოხატა მადლიერება მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, პირადად მერის მისამართით. „ძალიან ხშირად დადიოდა ბატონი მერი და აკვირდებოდა მუშაობის პროცესს, შესრულებული სამუშაოს ხარისხს. ძირითადი სამუშაოები თითქმის მთავრდებოდა, როცა გარე კედლები, რომლის შეკეთება არ იყო გათვლილი, დაათვალიერა და თქვა—ამ ხარისხის რემონტს და ამ შენობას, ეს ფასადი არ შეეფერებაო და იქვე მიიღო გადაწყვეტილება გარე კედლების შეკეთების თაობაზე“—გაიხსენა დირექტორმა და ბაგა-ბაღის გაერთიანების ხელმძღვანელის ნათქვამს —ეს ქალი „გვაყაჩაღებდა“, ყოველდღე რაღაცას ითხოვდა, ჩვენც გვაიძულებდა დათანხმებას და მერთან და შესაბამის სამსახურთან შეთანხმებას“—მხიარული განწყობა მოჰყვა.

სიხარულსა და მადლიერებას გამოხატავდნენ აღმზრდელ-პედაგოგები, მშობლები, აღნიშნეს ეს კიდეც თავიანთ სამადლობელ სიტყვებში.

ლამაზი და კომფორტულია ბაგა-ბაღი, ღირდა აღმზრდელობითი პროცესის რამდენიმე დღით გადადება და „ყაჩაღობაც“. ბაგა-ბაღის გახსნას და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყებას ესწრებოდნენ მშობლები, აქ იყვნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი ბუცხრიკიძე, მერის წარმომადგენელი სოფელში იაგო აბჟანდაძე, რომლებმაც ბაგა-ბაღის გახსნა მიულოცეს დამსწრეთ.

„ბოდიში რომ დაგიგვიანეთ გახსნაო“—თქვა ბატონმა მანუჩარმა. მას საბოდიშო რა ჰქონდა, მშენებლობის ყოველდღიურ საქმის კურსში იყო და ინიციატივაც ხომ მისგან და ბატონ დავითისგან მოდიოდა.

სტუმრებისგან განცალკავებით მდგარი სმენად ვიყავი ქცეული, რომ არა მერი, ბატონი მანუჩარი, ეს შენობა არ გარემონტდებოდა და არც ასე კარგადო—ამბობდნენ მშობლები.

45 აღსაზრდელით დაიწყო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, რაც ყველაზე სასიხარულოა, 18-მა პირველად შეაღო ბაგა-ბაღის კარები, მათ დახვდათ სრულიად ახალი გარემო, ყველაფერი გარემონტებული და ახალი, კარადები, ჭურჭელი, ავეჯი, ფარდებიც კი, შემოზიდულია სათამაშოები, მრავალი სასწავლო რესურსი.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ბაგა-ბაღის თანამშრომლები მოთხოვნების დონეზე წარმართავენ მუშაობას „მე მახსოვს ამ ბაღის აღსაზრდელთა კარგი გამოშვებები, საინტერესო ღონისძიებები, მომავალში უკეთესს მოველითო“—ბატონმა მანუჩარმა და არ შეიძლება არ დაეთანხმო, რადგან ახლა გარემო გაცილებით უკეთესია და ყოველწლიურად იზრდება დაფინანსებაც.

მუნიციპალიტეტი მართლაც ბევრ თანხას ხარჯავს არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, არამედ კვებაში. მე კარგად მახსოვს ათეულობით წლების წინანდელი ამბები და ერთი წერილის სათაურიც—„ბაგა-ბაღებში 1 ბავშვზე დღეში 35 თეთრი იხარჯება“. მახსოვს ისიც, როცა სათამაშოები მასწავლებლებს სახლიდან დაჰქონდათ, ზოგჯერ ხილიც და ნისიად გამოჰქონდათ პროდუქტი.

ყურადღება მიიქცია ათმა თუ მეტმა ათლიტრიანმა ბალონებმა წარწერით „სნო“. მაია თორთლაძემ მითხრა, რომ იმ სოფლების ბაგა-ბაღებში, სადაც მხოლოდ ტექნიკური წყალია, სასმელად და საჭმლის მოსამზადებლად შესყიდულ წყალს მოიხმარენო.

უსაფრთხო გარემოა ბაგა-ბაღებში.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ძლიერი ქარების შედეგების სალიკვიდაციოდ

საქართველოს მთავრობამ თერჯოლის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 75 000 ლარი გამოუყო, რაც სექტემბრის თვეში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას მოხმარდება.

გასულ თვეში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, სოფელ ბარდუბანსა და გოგნში, ძლიერი ქარების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა.

მერმა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას დეტალურად გააცნო ინფორმაცია, თუ რა ღონისძიებებს ატარებს საქართველოს მთავრობა სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად.

სამწუხაროა, რომ 28- 29-30 სექტემბრის სტიქიის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა სოფელ ბარდუბანში დავით მარგველაშვილის ოჯახი, რომელსაც ქარის შედეგად გამოწვეული ხანძრით, სრულად დაეწვა საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობები. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, სტიქიის სალიკვიდაციოდ გადმორიცხული თანხებით, მარგველაშვილებს ახალი სახლი აუშენდებათ. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა დაზარალებულ ოჯახთან შეხვედრისას განაცხადა, სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, მერია ტენდერს რამდენიმე დღეში გამოაცხადებს და მომავალშიც გააგრძელებს ამ ოჯახის თანადგომას.

იმავე დღესვე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სოფელ გოგნში სტიქიით დაზარალებულ დალი არაბიძეს შეხვდნენ, რომელსაც დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად თუნუქი და ხის მასალა რამდენიმე დღეში გადაეცემა.

მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები მუნიციპალიტეტში სტიქიით დაზიანებული 5 საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციას მოხმარდება.

შეხვედრა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-ნინო ჩხიკვაძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ვერულაშვილი და აღნიშნულ სოფლებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თანადგომა ბავშვიან ოჯახებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, მორიგი სოციალური აქცია მოეწყო და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეჭირვებულ ოჯახებს საოჯახო ტექნიკა გადაეცათ. მიმდინარე წელს, აღნიშნული პროგრამით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 21 შეჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახს 17 ათასი ლარის ღირებულების საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცა.

ვეტერანის დღე თერჯოლაში

17 ოქტომბერს, მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილსა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსთან, გიორგი ლილუაშვილთან ერთად, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ომის ვეტერანებს შეხვდა, მიულოცა ვეტერანის დღე და მომავალში მხარდაჭერას დაჰპირდა.

იმავე დღესვე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გმირთა მემორიალთან შეიკრიბნენ. გაიხსენეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლები, გვირგვინით შეამკეს მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

ვეტერანთა პატივსაგებ ღონისძიებას, მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერიის და საკრებულოს თანამშრომლები, ასევე ვეტერანები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წლიდან აღინიშნება.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა გრძელდება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებით:

მოქალაქეებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს რეფორმაში ჩართვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შესაძლებლობას აძლევს 2025 წლის ბოლომდე, სრულიად უფასოდ აზომონ და დაირეგისტრირონ მიწის ნაკვეთი.



ორმოცდათექვსმეტი წარმატებული— ორმოცდათექვსმეტი კომპიუტერი

კულტურის სახლის დარბაზი პედაგოგებით, მოსწავლეებით, მშობლებით იყო სავსე. დამსწრე საზოგადოება ელოდა წლების წინ დაწყებულ და ტრადიციადქცეულ, ყველაზე სასიხარულოს, ამაღლებულს—საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის კომპიუტერების და სამადლობელი სიგელების გადაცემის ცერემონიალს.

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილი ზუსტად დათქმულ დროს მოვიდნენ. საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ ღონისძიება გახსნა და ახალგაზრდებს, მშობლებს, მასწავლებლებს მიულოცა მნიშვნელოვანი მოვლენა მათ ცხოვრებაში. ყველა დღე

ადამიანისათვის დღესასწაულია, მაგრამ ორმაგია დღესასწაული, როცა, რაღაც განსაკუთრებული ხდება მის ცხოვრებაში. კიდევ ერთხელ მიულოცა და წარმატებები უსურვა ახალგაზრდებს მომავალ საფეხურებზედაც...

დიახაც იყო ეს დღე განსაკუთრებული—მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 56 მოსწავლისათვის, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს საშუალო საფეხური, კომპიუტერები უნდა გადაეცათ. კომპიუტერების და სამადლობელი სიგელების გადაცემაში, როგორც ქალბატონ ქეთევანს უყვარს თქვა—მას „ეხმარებოდნენ“ მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილი. ისინი გადასცემდნენ კომპიუტერს და ეფერებოდნენ მოსწავლეებს, ერთ-ერთი რობაქიძისათვის კომპიუტერის გადაცემისას ბატონმა მანუჩარმა „გამოერია რობაქიძეო“ თქვა და მერე იმატა ამ გვარის მოსწავლეებმა. რობაქიძეები ბატონ მანუჩართანო—ქეთევანმა და ამ ნათქვამს დარბაზში მხიარული განწყობა მოჰყვა. დაჯილდოებულ მოსწავლეებს შორის ბარათაშვილი არ აღმოჩნდა და ბატონ გიას, როგორც ძევრელს, ძევრელი მოსწავლეების სიმრავლე ახარებდა.

ბატონმა მანუჩარმა და ბატონმა გიამ მოსწავლეებს, რომლებმაც საჩუქრად კომპიუტერები მიიღეს, მიულოცეს შრომის პირველი შეფასება და წარმატებები უსურვეს, მადლობა უთხრეს ახალგაზრდებს იმისათვის, რომ კარგები არიან, რომ არიან ისეთები, რომლებიც მოუვლიან საქართველოს.

სიტყვებით გამოვიდნენ: კვახჭირის საჯარო სკოლის დირექტორი ლია ჩხიკვაძე, მშობელი და პედაგოგი შორენა გეწაძე, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დირექტორი, მაჟორიტარი დეპუტატი ელისო მურადაშვილი, გოგნის სკოლის დირექტორი ვერა ქოჩიაშვილი. მან სიამაყით აღნიშნა, რომ ბატონი მანუჩარი გოგნის სკოლის აღზრდილია. გამომსვლელებმა მადლობა გადაუხადეს განათლების სამინისტროს, ადგილობრივ ხელისუფლებას, საგანმანათლებლო რესურსცენტრს თანადგომისა და ყურადღებისათვის, პოტენციური მედალოსნები იქნებიანო და მომავალი წარმატებები უსურვეს.

გამოვიდნენ მოსწავლეებიც, რომლებმაც სამადლობელი სიტყვები არ დაიშურეს—აღნიშნეს, რომ საამისოდ პირველი კლასიდან ოცნებობდნენ, არა კი არ ოცნებობდნენ, თავდაუზოგავად შრომობდნენ.

ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მომღერალმა ჯგუფმა შეასრულა სიმღერა—„აფხაზეთი საქართველო არის“. ამ სიმღერით ბევრი რამ ითქვა.

ლამაზი წუთები იყო, დასამახსოვრებელი, გამსჭვალული მადლიერებით. „თუ წარსული დაგვავიწყდა, არ იქნება მომავალიო“—თქვა რესურსცენტრის ხელმძღვანელმა და ამ სიტყვებით ყველას განწყობა გამოხატა.

ჟუჟუნა ცხადაძე

„კლდიაშვილი—მარადიული მასპინძელი“

„ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს ჩაგივლია“... ანუ შემოდგომის მზით უჩვეულოდ გაჩახჩახებული თერჯოლის თითქმის ყოველდღიურმა კულტურულმა აქტივობებმა ოქტომბერში ზენიტს მიაღწია, თითოეული მნიშვნელოვანი, მხიარული და დასამახსოვრებელი იყო, განსაკუთრებით თავმოსაწონი კი ძევრში, საგვარჯილეს რეკრეაციულ სივრცეში ჩატარებული სახალხო ზეიმად ქცეული სპორტისა და ოლიმპიზმის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახლდათ, რომელსაც იმერეთის მეზობელი მუნიციპალიტეტებიდანაც შემოუერთდნენ...

ჯერ კიდევ შთაბეჭდილებათა მაღალი ემოციის ქვეშ მყოფი თერჯოლელები მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში, თითოეული თერჯოლელისათვის საამაყო და უსაყვარლესი ჩვენებურის, დიდი სახალხო მწერლის, მარადუკვდავი დავით კლდიაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიიპატიჟეს დიდი რუდუნებითა და კლდიაშვილისებური იმერული შტრიხებით მომზადებული მოსაწვევი ბარათებით...

„კლდიაშვილი—მარადიული მასპინძელი“—ასე ჰქვია ლიტერატურულ საღამოს და ის ცენტრის ჭიშკრიდანვე იწყება დავითის დროინდელი გაცოცხლებული იმერული ეზოთი, სტუმართმოყვარეობით, ხილით დახუნძლული მაგიდით, თუმცა უფრო მდიდრული, და ცენტრის ულამაზესი ქალბატონების მიპატიჟებით.

აქ კი ალბათ ბოლოს სათქმელს ვიტყვი და ვფიქრობ საღამოს მნახველთა უმრავლესობის აზრს გამოვხატავ: მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი უკვე ბევრი წელია ყველა ახალი აქტივობით ანებივრებს და აღაფრთოვანებს მაყურებლებს სიახლეებით, მრავალფეროვნებით, გემოვნებით თუ დახვეწილი შესრულებითა და მაღალი დონით. ყოველივე ეს ხომ არა მხოლოდ მაყურებლების გართობა-სიამოვნებას, არამედ ცენტრის აღსაზრდელთა მრავალმხრივ განვითარება-განსწავლულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას და შეფასებას ემსახურება... არაფერს გადაჭარბებულს არ ვიტყვი, იმდღევანდელი ლიტერატურული საღამოს თუ წარმოდგენა-სპექტაკლის მონაწილემ მიიღო დიდი ცოდნა კლდიაშვილის დროინდელი იმერეთის ყოფა-ცხოვრებისა, საკუთარი ძალებიც მოსინჯა და საუკეთესოდ დაამტკიცა, რომ ნიჭიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდობაა ღირსეულად რომ გააგრძელებს და უკეთესად აქცევს უძველესი ერის უმდიდრეს ტრადიციებსაც, მათ შორის გნებავთ თეატრალურ ხელოვნებაშიც.

არ შემიძლია აქვე არ ვთქვა სცენარზე. ეს იყო სრულიად ახალი სტილი და ახლეგულწრფელად მიტანილი მაყურებლებთან, როგორც თვით მწერლის შემოქმედება...

„იმ წელსაც ჩვეულებრივ მიიწურა ზაფხული, მარიამობის დღესასწაულმა ამ უტყუარ დროთა ბრუნვას ბეჭედი დაუსვა და როგორც ხალხი იტყოდა, დღის მეორე ნახევრიდან შემოდგომის თელხმა დაჰკრა...

სამყარო თავის გზას მიჰყვებოდა... ჩუქნიდა თავის წილს ადამიანებს.

ბარაქიანი შემოდგომა შემობრძანდა იმერეთში ცოტა ხნით, მაგრამ მაინც შვებას რომ აგრძნობინებდა ღარიბ იმერეთს...

სექტემბერი იდგა, ბავშვის ტირილმა ახალი ადამიანის მობრძანება ამცნო დედამიწას...

მაგრამ მხოლოდ ზეცამ იცოდა, კლდიაშვილების ოჯახს ვინ აჩუქა...

დაიბადა დიდი ქართველი, განა ოჯახის, იმერეთის, საქართველოს ღირსეული ადამიანი...

დაიბადა მსოფლიოს კალმოსანი, იმერეთის ქოხებში დამალული, ტკივილი, სიხარული, ადამიანად ყოფნის სიცილ-ტირილიანი ცხოვრება, ზოგადსაკაცობრიოდ რომ აქცია...

დაიბადა დიდი დავით კლდიაშვილი“...

ასე იწყებენ სპექტაკლს წამყვანები, შემდეგ კი ფარდა იხსნება და... ყველაფერი ისეა როგორც დიდ, პროფესიულ თეატრებში, სცენა, ფარდა, შუქები, მუსიკა...

სცენაზეა სხვადასხვა ნაწარმოებების გარინდული გმირები, თითქოს დრო გაჩერებულა...

სცენის სიღრმეში ძველებურ მაგიდასთან მხოლოდ მწერალი ზის და მას ახლა გასაუბრება მოუწევს ჟურნალისტებთან.

ბურად გადმოცემა მწერლის შემოქმედებისა, კარგად გააზრებული, ყველა დეტალში გათვლილი სასცენო ნიუანსები, დიდი შრომითა და რუდუნებით მომზადებული რთული, თუმცა მაღალ დონეზე შესრულებული და ისე უშუალოდ და

„დიდი დავითი ცოცხალი ხიდია ეპოქებს შორის... დრო მიდის და ეს ხიდი იზრდება, არ კარგავს ფუნქციას, არ მიჰყვება ეპოქას...

არ ემორჩილება დროს, პირიქით მას იმორჩილებს...

იქნებ თვით მწერალმა გვიპასუხოს რაშია საიდუმლო...

ვის უძღვნიდით თქვენს შემოქმედებას ბატონო დავით?

დავითი: „როცა დავწერე მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“, აღვნიშნე რომ... ნაშრომს ვუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა, მოკლე მოგონებებში არაფერი შეფერადებული არ იქნება და ეს ეხება ყველა ჩემს ნაწარმოებს“...

„მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“...

„ჩემს შემოქმედებას ერთი მთავარი მოქმედი პირი, ერთი დირიჟორი ჰყავს, ორკესტრის წევრები, რა თქმა უნდა ჩემი ნაწარმოებების მოქმედი პირები არიან, რომელთან ერთადაც ვარ მე, მათთან ვცხოვრობდი, ეს ცოცხალი საზოგადოების რეალური ადამიანები არიან...

ხოლო კითხვაზე: „და მაინც დირიჟორი ვინ არის“? პასუხია:

„სიღარიბე, დიახ სიღარიბე, საშიში დირიჟორია, არა მხოლოდ ადამიანისათვის, ერისთვის... იმიტომ რომ სიღატაკე მთელი სისასტიკით ადამიანის ღირსების წინააღმდეგაა მიმართული. ის მთელ ჩვენს დროს ითხოვს, შესაბამისად, გააზრების საშუალება აღარ გვაქვს...

დროებამ ისე მოიტანა, რომ მცირე ქონებაც სიმდიდრედ ითვლებოდა და მის მქონებელს თავს ბედნიერადაც აგრძნობინებდა, ამიტომ მადლობას წარმოათქმევინებდა უფლისადმი: „ამაზედაც გმადლობ უფალო, ამაზედაც გმადლობ“. ასე ცოტაზე დამყარებული კმაყოფილება კი შესაშური ნამდვილად არ იყო. რა საფიქრალია, რომ ასე ცოტათი მოტყუებული ბედნიერება ისევ ცოტა მიზეზითვე ხელიდან არ გამოეცლებოდათ. სუსტ საფუძველზე დამყარებული კმაყოფილება არ მოესპობოდათ!“—ასეთ პასუხს აძლევს დავითი „ჟურნალისტებს“.

შემდეგ სცენაზე მონაცვლეობენ დავითის მოთხრობების ინსცენირება-სიუჟეტები, პერსონაჟები: ბეკინა, პლატონი, ვექილი, გვერდევანიძე, დარიკო, თეკლა, კირილე, არისტო, ელენე და ბიჭი, რომლის დაბადებამ უამრავი უსიამოვნება მოუტანა სამანიშვილების ოჯახს. (სამანიშვილის დედინაცვალი).

მაყურებელი თვალს ადევნებს, როგორ დაარღვია ოჯახის მძიმე ჭაპანწყვეტით მოტანილი არსებობა და მყუდროება 70 წლის აზნაურის ბეკინას ახირებულმა სურვილმა. თავზარდაცემულმა პლატონმა, რომელიც შიშობს მამის სურვილს ცოლის შერთვის თაობაზე მამულის გამყოფის გაჩენა არ მოჰყვეს, გადაწყვიტა თავად იკისროს საკუთარი მამის მაჭანკლობა. წარმოვიდგინოთ, როგორი შეურაცხმყოფელია ეს იმერელი კაცისათვის და მაინც, პლატონმა წარმატებით დაასრულა ორნაქმარევი, უშვილო სადედინაცვლოს ძებნა, თუმცა შედეგად იმედი გაუცრუვდა...

სპექტაკლში მრავლადაა კომიკური სიტუაციები, პლატონი თავისი კონკრეტული საქმით, მწუხარე სახის აზნაური და მეორე მხრივ პლატონის დარდიმანდი სიძე, კირილე მიმინოშვილი, მუდამ ქეიფისათვის აწყვეტილი და საიდუმლოს არც თუ შემნახველი.

მოთხრობის სიუჟეტი, უზადოდ დაწერილი და მონაწილეთა მიერ საუკეთესოდ განსახიერებული, ცალკეული პასაჟები, შთამბეჭდავი სურათები და კარგად შეკრული კომპოზიცია გულგრილს არ ტოვებს მაყურებელს, არა მხოლოდ „სამანიშვილის დედინაცვლის“ წარმოდგენისას, ასევეა „დარისპანის გასაჭირის“, „ქამუშაძის გაჭირვებისა“ თუ „სოლომონ მორბელაძის“ წარმოდგენისას.

სიღარიბე და იმედგაცრუება თან სდევს დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებს, პერსონაჟებს, ისინი უმეტეს შემთხვევაში კომიკურ, ამავე დროს შესაბრალის მდგომარეობაში არიან, საშველი კი არ ჩანს...

სასოწარკვეთილი („დარისპანის გასაჭირი“) დარისპანი ქალიშვილების გათხოვება რომ გაჭირვებია, არაფერს ერიდება ოღონდ ვინმეს თავის ქალიშვილი მოაწონოს და როგორმე გაათხოვოს, ყოველი მცდელობა კი ამაოა, იმედგაცრუებული და ხელმოცარული რჩება ოტია ქამუშაძეც, რომელმაც ჯერ საკუთარ სოფელში არჩეული საცოლის გამო მიიღო უარი, ხოლო ქალაქიდან მოყვანილი ქალი, დაპირებული მდიდარი ოჯახის ნაცვლად ღარიბი ოჯახიშვილი აღმოჩნდა, კვლავ სიღარიბე, უსახსრო მდგომარეობა, ტალახიანი ორღობე და... ☞7

☞8

გონერი მოსელიძე—65 გილოცავთ...

„არ დამიჯერებთ, თუმც ასე იყო: შაშვმა დაფნის ტოტიდან დაბალზე შემომასტვინა, შენი ძმა და მეგობარი გონერი მოსელიძე გუშინ სამოცდახუთისა გამხდარაო... შენს პირს შაქარი, მეთქი, ჩიტუნი, როგორ გამახარე და აჰა, ჩემგანაც მიირთვი:

მილიონ სამოცდახუთს დაასწროს უფალმა, ეს ჩინებული სიტყვის ოსტატი, მრავალთა აღმზრდელ-მასწავლებელი, დედულ-მამულის ჭირისუფალი, მევენახე, და მებაღ-მებახჩე, მადლობა მას, რომ სოფელს დარაჯობს სიტყვით, გულით და დაუღლელი მარჯვენით! აბა, ფრი, ჩემო თვალგიშერა! მომიკითხე სიყვარულით.“

ამ რამდენიმე წინადადებაში გონერი მოსელიძის შესახებ მილოცვაც და თითქმის ყველა სათქმელი ჩაატია მისმა ქუთათურმა მეგობარმა, ჟურნალ „განთიადის“ მთავარმა რედაქტორმა, კარგმა კალმოსანმა მწერალმა ავთანდილ ყურაშვილმა.

და მაინც „თერჯოლას“ და თერჯოლელებს მეტი გვაქვს სათქმელ-გასახსენებელი მის პიროვნებაზე, პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, მის ლამაზ, ღრმაშინაარსიან პოეზიაზე, კიდევ მის ტკბილ, ქართული ტრადიციებით გაჯერებულ ოჯახზე.

მის ერთ პატარა ლექსს შეგახსენებთ, სადაც კარგად მოჩანს მისი პიროვნების ძირითადი მახასიათებელი:

„მე უფრო კაცი,
ვიდრე პოეტი,
მე უფრო მიწა,
ვცხოვრობ და ვსუნთქავ,
შენებრ დროებით,
ამაოების გზა-სავალს ვკეცავ.
მაგრამ ვერაფრით ვერ
შევეგუე
დროს ფართოპირა
ნიჩაბ-ბარიანს,
ბედნიერია,
ვინც წვეთი მისი
არც იხარბა და
არცა დალია“.

ლექსების წერის სურვილი ადრე გაუჩნდა. მეხუთე კლასში იყო, როცა გაზეთ „თერჯოლის“ წინამორბედ „წინსვლის“ რედაქციაში მორცხვად შეაბიჯა და თავისი „ნაღვაწი“ გაზეთის მაშინდელ კორესპონდენტს, ნიკოლოზ კლდიაშვილს მიუტანა, რომელმაც დაუფარავად უთხრა „რას გავს ბიჭო ეს, ამას ვინ დაგიბეჭდავსო“ და გაწბილებული გაისტუმრა.

ასევე დაუწუნა ლექსები ქართულის მასწავლებელმა მარო კაპანაძემ, თუმცა თუ ლექსები მაინც გინდა წერო, ამას თავისი წესები აქვსო და ასწავლა რა უნდა გაეთვალისწინებინა. რამდენიმე მცდელობის შემდეგ საწადელს მაინც მიაღწია და გონერის პირველი ლექსი „წვიმს“ გაზეთ „წინსვლაში“ 1973 წელს დაიბეჭდა. შემდეგ იყო ლექსები დედაზე, სიყვარულზე, თანდათან გაჩნდა სხვა თემებიც, ასე გაიცნო გონერი მოსელიძე რაიონული გაზეთის ფურცლებიდან „წინსვლის“ შემდეგ „თერჯოლას“ მკითხველმა.

თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღო ქალაქ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, იქიდან მოყოლებული უკვე 33 წელია მუშაობს ღვანკითის საჯარო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. მეშვიდედან მეთორმეტეს ჩათვლით ასწავლის საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიას. პარალელურად წერს ლექსებს. სამშობლო, პატრიოტიზმი ასაზრდოებს გონერის შემოქმედებას. ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალია ამოსავალი, რომლის გარეშე ვერც პედაგოგიური მოღვაწეობა და ვერც პოეზიასთან მეგობრობა ვერ წარმოუდგენია.

„საუკეთესო ახალგაზრდები იზრდებიან და მოდიან. მიუხედავად იმისა, მაინც და მაინც კითხვა, ზეპირობა ყველა მათგანს არ უყვარს, თუმცა სოციალურ გარემოში მათი უმეტესობა მშვენივრად იმკვიდრებს ადგილს, კარგი სწავლის პირობებში კი ცხადია, ორჯერ უკეთესად“, ამბობს გონერი მასწავლებელი მოსწავლეებისა და ზოგადად ახალგაზრდების შესახებ. „ამასთან ისტორიის სწავლა და გააზრება კი თითოეულს განსაკუთრებით მოეთხოვება, არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ სასურველია ყველა მოქალაქემ იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია, რაც სამწუხაროა და ასე არ არის“... ამბობს დანანებით.

გონერი მოსელიძე, ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ლექსების კრებულის ავტორია. „მარტის გვირგვინი“ ჰქვია წიგნს, რომელიც 2006 წელს გამოვიდა. წიგნის რედაქტორი თემურ ამყოლაძე ასე ახასიათებს მის კრებულს: „სევდიანი, იმედიანი, ვაჟკაცური... გონერი მოსელიძე კლასიკური ლექსების ერთგულია, განწყობილების სიწრფელით, მოულოდნელი პოეტური ხილვებით, სიტყვის, ფრაზის ფაქიზი გრძნობით გიზიდავს, გაინტერესებს. თავადაც ასეთია—გულწრფელი, ბოჰემური და ყოველივე ქართულის, ვაჟკაცურის მოთაყვანე“.

მკითხველები გონერი მოსელიძისაგან ყოველთვის აზრიან, ღრმაშინაარსიან და ლამაზი წყობით გარითმულ ლექსებს მოელიან. არაერთი ლიტერატურული საღამო მახსენდება, როცა მსმენელი გულწრფელი აპლოდისმენტებით გამოხატავდა მოწონებას და აღტაცებას მისი ლექსების მიმართ.

გონერი არაფერს წერს და აკეთებს თავის გამოჩენის, ან რაიმე სარგებლის მიღების მიზნით. მის შემოქმედებაში არის ლექსები, რომლებიც ფარულად თუ აშკარად არის ერთგვარი პროტესტი უსამართლობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების მიმართ. 90-იან წლებში რედაქციაში ერთხელ ლექსი მოიტანა, მასში მთელი სისრულით იყო გადმოცემული იმ დროს ქვეყანაში გამეფებული საშინელი მანკიერებანი, ქაოსი, უწესრიგობა, ძმათა შორის შუღლი და ომი, შიში, შიმშილი, სისასტიკე, ანუ ზოგადად ზნეობის დეგრადაცია. არ მახსენდება ვინმეს ისე გამოეხატოს ეპოქის მაჯისცემა... სამწუხაროდ ის ლექსი ვერ დავუბეჭდეთ, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო.

მრავალფეროვანია მისი შემოქმედების თემატიკა, მარადიულია სიყვარულის თემა, სრულიად იზიარებს აზრს რომ: „სიყვარულმა არ იცის ასაკი“, ასევეა დედა, რომელიც შემოქმედის მუდმივი მიძღვნის ადრესატია. ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ხომ, არასდროს ტოვებს გულგრილს, ქვეყნის გულშემატკივარსა და პატრიოტს.

დღეისათვის გონერის მრავალი ახალი ლექსი აქვს, რომელიც თავმოყრილია და გამოცემის შემთხვევაში კიდევ ერთ საინტერესო კრებულს მიიღებს ქართველი მკითხველი. ავტორი არ ჩქარობს, არავის აწუხებს დახმარებისათვის, როგორც ამბობს, მთავარია არსებობს ლექსები და მას და მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს გულს უთბობს და სამყაროს ულამაზებს.

ერთადერთ ლიტერატურულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა გონერიმ 2017 წელს, ეს იყო მწერალთა ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალის „განთიადის“ 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კონკურსი, რომელიც საჯარო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის გამოცხადდა. გაზეთ „თერჯოლის“ რედაქტორის, ბატონ დავით კლდიაშვილის რჩევით მან თავისი ლექსები წარადგინა. მოხდა ისე, რომ კომისიამ გონერის შემოქმედება უმაღლესი ნომინაციით შეაფასა და მას პირველი ხარისხის დიპლომი და პრემია გადასცა.

პოეტი ძლიერია ოჯახის, ნათესავების, მეგობრებისა და კოლეგების თანადგომით. ცხოვრობს თავის ოჯახურ გარემოში, მეუღლესთან, ზაირა კუპატაძესთან ერთად ორი შვილი აღზარდა, დღეისათვის ორივე დაოჯახებულია, ორი შვილიშვილიც ულამაზებს ოჯახურ იდილიას, პედაგოგობს სკოლაში და შვილებს, ასევე მოსწავლეებს, ირგვლივ მყოფ ადამიანებს აძლევს მაგალითს: წესიერი, ზრდილი, ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომისა და ცხოვრებისას.

გაზეთი „თერჯოლა“ უერთდება გონერი მოსელიძისათვის დაბადების დღის მიმლოცველებს, უსურვებს მას ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და უამრავ ლამაზ დღეს. წარმატებული იყოს მისი, როგორც შემოქმედებითი საქმიანობა ასევე პედაგოგიური მოღვაწეობა.

აქვე გთავაზობთ პოეტის ახალ ლექსებს.

მზია ცქიფურიშვილი

* * *

იქით დიდგორი რომ იყო,
აქეთ ასპინძა რომ იყო,
დავითი ლომი იყო და
პატარა კახიც ლომ-იყო.
ღალატიანი მარაბდა,
კრწანისიც ქვეყნის ამკლები,
იყო სირცხვილი არადა
დიდებაც არანაკლები.
ტკბილი ყოფილა სამშობლო,
სიკვდილ-სიცოცხლით
ძვირითა,
მწარე ყოფილხარ მამულო,
საგოდებელზე ვტირი და
ღმერთო, შემინდე სიგლახე,
ჩემი მდევარი რომ იყო,
ახლა კი მტრების ჯინაზე,
დიდგორი უნდა მოვიგოთ.
სხვა ამაოა ყოველი,
სხვა ყველაფერი მცდარია,
ჩვენი პატარა დიდგორი,
დიდი დიდგორის დარია.

* * *

ცაო, შემკრთალო
მშობელო მიწავ,
ჩემი ხარ,
მერე ვისი იქნები?
რა ვუთხრა იმათ
როცა იქ მივალ,
ვინც გადაქარდა
შენზე ფიქრებით.
ვინც დაფერფლილი
გულით ჩაგეკრა,
სულით მკურნალით
გესხივლურჯფერა,
იქცა მამულად
სამშვენად შენდა,
აგერ, ახლახან
იქცა შენფერად.
დამაკლდა ნამდვილ
გრძნობათა სიღრმე,
დამაშვრალობა
ნაჯღაბნ-ნაწერთა,
რა აღარ ვცადე,
შემწედ რომ მიხმე,
წარმავალ დღეთა
გადასაწევად.
ვით გესალმუნე?
რამდენჯერ მანდე
სიცოცხლე ზღვისებრ
მიქცევ- მოქცევით,
ღმერთო შემინდე
ახლაც, შენამდეც,
სამშობლოს მიწად
რომ ვერ ვიქეცი.

* * *

ძუნწი ვარ უცხო ტომთ
სათარეშოდ,
სამშობლო ჩემი არ მემეტება,
ხეშიც, ბალახშიც,
დღეშიც, ღამეშიც,
მწადის ქართული სისხლის
ჩქეფება.
ხარბი ვარ,
ცრემლსაც ვერ გავცემ
მისხალს,
დაღვრილს პაპათა
ძვალთშესალაგზე,
ისტორიიდან მოვარდნილს
სისხლად,
რიონ ალაზანს, მტკვარს და
არაგვებს.
თავს ვერ ვწევ მაღლა,
სირცხვილით ვიწვი,
მტერი ვერაფრით რომ ვერ
ავლაგმე,
სიკვდილი რაა,
სიკვდილზე უფრო,
გაქრობის შიში
მალაპარაკებს!

ფიქრიას (საყვარელი მამიკოსგან)

კიდევ 4-ჯერ 30,
თუკი ქვეყნად ღმერთი
ღმერთობს,
შენს კერაზე სიხარულის,
სიყვარულის ცეცხლი ენთოს!
მე კი საფლავს ვიმშვენებდე,
თუნდაც წლებით ასიოდე,
შენგან ანთებული სანთლის,
ცრემლი გულზე დამდიოდეს.
შენ იხარე შვილო დიდხანს,
ჩემთვის არ ვისურვებ
ამდენს,
გარდა კიდევ ორი ძითა
შენგან ყოფა დამიამდეს.
ჩაგიფიქრე, მოგიფიქრე,
მიფიქრია ფიქრი რომ ხარ
თუ მეტად გამიმრავლდებით
დრო ჩვენს მოდგმას ვეღარ
მოხრავს.
სიყვარულის გარდა უფლის,
არც არაფერ რამეს ვითხოვ,
ადრეც ვწერდი გულის
დუღილს,
გავიხსენებ იმ ლექსს, იმ
დროს.
დღით ღამისთვის კოცონს
ვანთებ,
ბნელი არ არსებობს თითქოს.
არც რა ძალა ქვეყანაზე
ეს კოცონი რომ ჩამიქროს.
ცეცხლობს იგი სიყვარულად,
მარადიულ სიყვარულად
ჰგიებს მხოლოდ სიყვარული,
ჩემი ფიქრის ფიქრი
ფიქრობს!

დედას

ჭეშმარიტება ჩემად,
დაწერილია ჩემთვის
პირველი არის დედა
და მერე არის ღმერთი.
მაერთებელი ხიდი,
ბედისწერა და ბედი,
ღმერთი ყმაწვილთა, ყმათა,
ლოცვა და სიხარული,
სანთლის ციმციმის განცდა,
ბედნიერება სრული.
გულებში გულთა გული,
სულებში სულთა სული,
სიცოცხლე სიცოცხლეში,
მშვენება მშვენებაში,
ყველაფრის დასაწყისი,
არაფრის დასასრული.
ყველა სათქმელზე სათნო,
ყველა ნათქვამზე მეტი
ჭეშმარიტება საღვთო,
ქვესკნელ-ზესკნელს რომ
ერთვის
ჯერ დედა არის ღმერთი,
მერე ღმერთია ღმერთი!
ერთი და იგივეა,
არის ორივე ერთი.

„კლდიაშვილი—მარადიული მასპინძელი“

5 ☜

ქამუშაძეების ერთადერთი იმედი სოფლის დატოვება და თავის რჩენის წყაროს საძებნელად ქალაქში წასვლაღა დარჩა.

იმედგაცრუებული ისევ და ისევ სიღარიბის პირისპირ აღმოჩნდება გამაჭანკლებული იმერელი აზნაური, სოლომონი („სოლომონ მორბელაძე“), რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია აზნაურული კუდაბზიკობა, თუმცა შეუფერებელ საქმეს, მაშვლობას შეჭიდებია სიღარიბის და მევალისათვის თავის დაღწევის მიზნით.

ფინალი აქაც ისეთია, როგორც დანარჩენ მოთხრობებში. როცა დაპირებული „თუმნიანების“ ნაცვლად სოლომონს ორიოდე გროში გადაუგდეს, სასოწარკვეთილი ამბობს: „დასწყევლოს ღმერთმა იმერელი აზნაურის გაძაღლებული ცხოვრება, მოვატყუე, მომატყუეს და ხვალ ერთი მოტყუებული კარზე მომადგება“...

და ისევ დავითი: „როგორც ხედავთ, მთელი ჩვენი ენერგია მხოლოდ არსებობის შესანარჩუნებლად იხარჯება, საზოგადოება ინგრევა, იფიტება და იშლება ყველა დონეზე“—დიახ, ასეთია ის სამწუხარო რეალობა, რომელსაც მწერალი ემსახურებოდა და ყოველივე კი ძალიან ლამაზად და შეულამაზებლად იყო წარმოდგენილი.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, ეს იყო საუკეთესოდ შედგენილი სცენარი, საუკეთესოდ შერჩეული შემსრულებლებით, რეჟისურა, კოსტუმები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული გაფორმება... ერთი სიტყვით ყველაფერი იყო ისეთ დონეზე ნებისმიერ დიდ სცენას რომ დაამშვენებდა და მაყურებელს აღაფრთოვანებდა...

ასე ლამაზად დასრულდა ღონისძიება. მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა ნინო ოქრუაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს, მაყურებლებს, მონაწილე ბავშვებს და მათ ხელმძღვანელს, ქალბატონ რუსუდან კოვზირიძეს, სკოლებს, აგრეთვე მადლობა გადაუხადა მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის კოლექტივს ერთგული თანამშრომლობისათვის.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მიერ წარმოდგენილ ლიტერატურულ-საღამოს დაესწრნენ: საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ქეთევან შეყრილაძე, მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი ბარათაშვილი და სხვადასხვა სამსახურების, სკოლების წარმომადგენლები, რომლებმაც მოიწონეს, მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ღონისძიებას და მადლობა გადაუხადეს ცენტრის ხელმძღვანელს და პედკოლექტივის თითოეულ წევრს, უნარიანი და უღალატო საქმიანობისათვის.

მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა პირადად გადაუხადა ქალბატონ რუსუდან კოვზირიძეს, ცენტრის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის ხელმძღვანელს, რომლის თაოსნობით და ორგანიზებით მომზადდა ეს ულამაზესი საღამო. მან, ისევე როგორც საღამოს მონაწილეებმა მაყურებელთა განსაკუთრებული აპლოდისმენტები დაიმსახურა.

აქვე წარმოგიდგენთ მონაწილე ბავშვებს, აღნიშნული კლუბის წევრებს, რომელთა არტისტიზმმა, ნიჭიერებამ თითოეული როლის მაღალ დონეზე შესრულებამ განსაზღვრა საღამოს წარმატება. ზოგიერთ მათგანს ორი, სამი, ოთხი როლის შესრულებაც კი მოუხდა და კარგადაც გაართვეს თავი: დავით კლდიაშვილი განასახიერა საბა გეწაძემ, „მზეკაბანი 2007“, კირილე, სოლომონ მორბელაძე—გიორგი ჯიხვაშვილმა, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, პლატონი, დარისპანი—გოჩა ლილუაშვილმა, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, ნატალია, ელენე გურაბანიძემ, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, არისტო, პლატონი—სოლომონ მორბელაძიდან, ოსიკო—ნიკა გურულმა, „მზეკაბანი 2007“, ეკვირინე, პელაგია—თიკა კოვზირიძემ, ღვანკითის საჯარო სკოლა, მართა—თეკლა ბუსკივაძემ, ღვანკითის საჯარო სკოლა, ბეკინა, ნიკო, ოტია, ონისიმე—ლუკა ჩანთაძემ, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, ელენე-ბეკინას ცოლი—მარიამ ბერუაშვილმა, საზანოს საჯარო სკოლა, კაროჟნა—ელენე აბულაძემ, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, გვერდევანიძე ვექილი, პორფირი—გიორგი კვანტიძემ, რუფოთის საჯარო სკოლა, სონია—ნინო რობაქიძემ, გოგნის საჯარო სკოლა, ეფროსინე (სოლომონ მორბელაძიდან)-თეკლა ზარნაძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, ბეკინას და ელენეს ბიჭი—დაჩი საყვარელიძემ, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, ჟურნალისტი—ნანო თორთლაძემ, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, ჟურნალისტი თეკლა მაკარიძე, თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, ჟურნალისტი, ეფროსინე—ლალო მაკარიძემ, თერჯოლის №2 საჯარო სკოლა.

11 ოქტომბერს საღამოს დასწრების ყველა მსურველი ვერ დაიტია ცენტრის დარბაზმა, ამიტომ 18 ოქტომბერს მოხდა სპექტაკლის განმეორებითი ჩვენება... რა დროსაც ისევ ლამაზად და შემოქმედებითად დაიხარჯნენ საღამოს მონაწილენი. ამჯერად მაყურებელთა შორის იყვნენ მონაწილე ბავშვების კლასელები, სკოლელები, დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, დამრიგებლები.

ლიტერატურულ სპექტაკლში ჩართული იყო 7 სკოლის 18 მოსწავლე.

მოსწავლეთა ცენტრის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა აღნიშნულ ღონისძიებაში მხარდაჭერისა და თანადგომისათვის: რესურსცენტრს, თერჯოლის №1, №2, კერძო სკოლა „მზაეკაბანის“, ღვანკითის, საზანოს, რუფოთის, გოგნის სკოლებს, მონაწილე მოსწავლეების მშობლებს.

მზია ცქიფურიშვილი

მიიღე მონაწილეობა აღწერაში, შეიტანე შენი წვლილი ქვეყნის განვითარებაში!

მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერების ათწლიანი პერიოდულობით ჩატარება აღწერის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამასთან ერთად, გაეროს რეკომენდაციებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ქვეყნებმა მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერები უნდა ჩაატარონ 10 წელიწადში ერთხელ მაინც, შესაბამისად, 2024 წელს მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერების ჩატარებით, დაცული იქნება აღწერების განხორციელების ათწლიანი ციკლი.

აღწერაში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა იურიდიული პირისა და ფიზიკური პირისთვის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირისთვის. აღწერას არ ექვემდებარებიან უცხო ქვეყნის მოქალაქე და მისი შინამეურნეობის წევრი, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, აგრეთვე უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურე და მისი შინამეურნეობის წევრი. რესპონდენტი ვალდებულია აღწერის ჩატარებისას გამოკითხვის პროცესში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მიაწოდოს მის ხელთ არსებული უტყუარი მონაცემები (კანონის მე-29 მუხლი). კანონის 34-ე მუხლი ადგენს მონაცემთა კონფიდენციალურობას. რესპონდენტის შესახებ მონაცემები ინახება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღმწერ პერსონალს ეკრძალება აცნობოს ვინმეს, რესპონდენტის შესახებ შევსებული აღწერის კითხვარის შინაარსი. მონაცემების გამოყენების წესის დარღვევისთვის აღმწერ პერსონალს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღწერის დროს შეგროვებული მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით.

აღწერა ტარდება საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულში, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, მოსახლეობის და სასოფლო მეურნეობების შესახებ ზუსტი მონაცემების მისაღებად, რაც აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აქტივობა და პროდუქციის წარმოება ძირითადად ხორციელდება შინამეურნეობების სექტორში, მოსახლეობის აღწერასთან ერთად ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო აღწერაც.

აღწერის ფარგლებში შეგროვდება მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სხვადასხვა დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

ასევე, აღწერა მოიცავს როგორც საცხოვრისებში და ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მცხოვრებ მუდმივ მოსახლეობას, ისე უსახლკარო პირებს და მომთაბარე ჯგუფებს, რომლებიც აღწერის კრიტიკული მომენტისთვის მუდმივად ცხოვრობენ ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამასთან, აღწერის ფარგლებში შეგროვდება ინფორმაცია, შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებ, კერძოდ, შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შესაბამისად, აღწერის შედეგების საფუძველზე ხელმისაწვდომი იქნება ზუსტი და განახლებული მონაცემები როგორც მოსახლეობის რაოდენობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სხვადასხვა დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით, ასევე შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებ, თვითმმართველი ერთეულებისა და დასახლებების დონეზე.

აღწერის საველე სამუშაოები უნდა განხორციელდეს იმ დროს, როდესაც ადამიანი ყველაზე ნაკლებად მობილურია, რადგან უფრო ადვილი იყოს მისი გამოკითხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ე.ი. იმ დასახლებაში, სახლში, ბინაში, რომელშიც გამოსაკითხი პირი ატარებს თავისი დროის უმეტეს ნაწილს. ეს ადგილი შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს მისი რეგისტრაციის ადგილს.

ამასთან, ქვეყნების მიხედვით საველე სამუშაოების ხანგრძლივობა განსხვავებულია და დამოკიდებულია აღწერის მეთოდსა და მეთოდოლოგიაზე, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და მის გეოგრაფიულ განაწილებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის აღწერის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, ხოლო მოსახლეობის გამოთვლის მომენტად (მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი) – 13-14 ნოემბრის შუაღამის 12 საათი.

აღნიშნული პერიოდის შერჩევა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: მოსახლეობა ნაკლებად მობილურია; მიმდინარეობს სასწავლო პროცესი - მოსწავლეები და სტუდენტები იმყოფებიან მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე;

აღწერა ჩატარდება ერთდროულად ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ელიზა და დათო ბლიაძეებს დედამთილისა და დედის
სულიკო მარაქველიძის
გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები იუწყებიან
ლიკა რობაქიძის
სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა ფშაველა—უსაზღვრო და თვალუწვდენელი სამყარო...

ძევრის საჯარო სკოლაში დადგმული სპექტაკლის გამო

ვაჟა-ფშაველა მემკვიდრეა იმ საუკეთესო ტრადიციისა, რომელიც შეიქმნა ძველი ქართული მწერლების თაობების მიერ. ქართული კულტურის წიაღში გაიზარდა ვაჟა. მის პოეზიაში წინა პლანზეა სამშობლო, მკითხველს არასოდეს მოსწყინდება მისი პოეზიის კითხვა. ვაჟა ბუნების მესაიდუმლე იყო, პოემა „გველისმჭამელის" მთავარი გმირის, მინდიას სული ედგა, ამიტომ იყო იგი მაღალი და სპეტაკი. ვაჟა იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ნაწარმოებებში დიდი ადგილი უკავია კეთილშობილ ადამიანებს, მათ არ იციან შიში და უკანდახევა განსაცდელისა და უბედურების დროს. მას სწამდა, რომ საქართველო გაშლიდა ფრთებს, ექნებოდა მომავალი „რომ მომავალი ჩვენია, ამას რათ უნდა მისანი"—წერდა ერთ ლექსში.

სტუმარ-მასპინძელი —მცირე მიმოხილვა

ქისტეთის მიდამოს ღამის წყვდიადი რომ გადაეფარა, გამოჩნდა უცხო კაცი, რომელიც ხევსური ზვიადაურია, გზააბნეული, მტრის სოფელს მოუახლოვდა. ხევსური ხვდება ნადირობიდან დაბრუნებულ ქისტს—ჯოყოლას. ზვიადაური არ ეუბნება ჯოყოლას ნამდვილ სახელს, ჯოყოლამ კი არ იცის რომ სახლში მტერი მიჰყავს. ჯოყოლამ ცოლს—აღაზას—სტუმარი წარუდგინა, ღვთის წყალობაა ჩვენზედაო. ჯოყოლას სახლში მყოფმა მოხუცმა

ქისტმა იცნო ზვიადაური და სოფელს შეატყობინა. სოფელი ატყვევებს ზვიადაურს. ჯოყოლა არ არღვევს სტუმარ-მასპინძლობის წმინდა ტრადიციას და იარაღით იცავს მას, ჯოყოლა მართალია წინაპართა ანდერძის და სინდისის წინაშე, მაგრამ მართალნი არიან ქისტებიც.

გაჩნდა წინააღმდეგობა, მართალია ჯოყოლა, მაგრამ მის კეთილშობილებას უპირისპირდება ის, რაც თემისათვის წმინდაა. ჯოყოლას ცოლიც მოზარედ უხდება მოკლულს, დასტირის ადამიანს, რომელმაც ბევრი ქისტის დედა ატირა, მრავალი გაგზავნა უდროოდ შავეთში. აღაზა დასტირის ზვიადაურს და ესმის მკვდრების ჩივილი, წყევლის ხმა, საფლავიდან დგება მისი ძმა—„მეორე საფლავში ჩამდე, ერთ სამარეში მდებარი". ბალახნიც კი კიცხავენ აღაზას, შეშინებულ ცოლს, რომელიც ეუბნება, რომ ცრემლები შესწირა მის მეგობარს, ამშვიდებს ჯოყოლა. ხდება ისე, რომ ჯოყოლა კვდება შემოსეულ ხევსურთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აღაზა თავს იხრჩობს...

ხალხი ღამით მოჩვენებებს ხედავს—ჯოყოლა უხმობს თავის სტუმარს, ზვიადაურის აჩრდილი სასაფლაოდან წამოვა, მწუხარე სახით ჩნდება აღაზა, ანთებენ ცეცხლს, ჯიხვის მწვადს წვავენ, ვაჟკაცობაზე, სტუმარ-მასპინძლობაზე ლაპარაკობენ. საამო სანახავია ეს ყველაფერი, მაგრამ მათ შავი ნისლი მალევე ფარავს და აბნელებს.

წინააღმდეგობა სიკვდილმაც ვერ გადაჭრა.

„ჰელადოსი"-დან „სტუმარ მასპინძლამდე"

შარშან, როცა დამსწრე საზოგადოებამ ნახა ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეთა რამდენიმე წუთიანი ფილმი „შინდისის გმირები" და რეჟისორ ტატო პატარიძის მიერ დადგმული სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი", სკოლის დირექტორმა მანუჩარ ფანჩულიძემ თქვა, რომ მომავალ წელს „სტუმარ-მასპინძელს" გიჩვენებთო.

და გვიჩვენა კიდეც. ეს მეათე სპექტაკლია, ყოველ წელს თითო—„ჰელადოსიდან" „სტუმარ-მასპინძლობამდე".

კულტურის სახლის დარბაზი სავსე იყო პედაგოგებით, მშობლებით, მოსწავლეებით, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებით, სხვა მოწვეული თუ მოუწვეველი სტუმრებით.

სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი" ზუსტად დათქმულ დროს დაიწყო, სკოლის დირექტორმა მანუჩარ ფანჩულიძემ მოკლე სიტყვა წარმოთქვა. სამარისებული სიჩუმე დადგა დარბაზში, პირველსავე გამომსვლელმა, „ღამის წყვდიადში ჩაფლული"... ქისტეთის მიდამოს აღწერის ტექსტი ისე წაიკითხა, მოხიბლა მაყურებელი.

სცენაზე გაცოცხლდნენ: ჯოყოლა, ზვიადაური, აღაზა, მუსა, ზვიადაურის დედა, სხვა ქისტები, რომლებიც ნამდვილი მსახიობებივით ირგებდნენ როლებს. მართლაც, უკეთესი და უკეთესი თაობა მოდის, „ყოველთვის ვფიქრობ, ერთი თაობა, რომ წავა, როგორი იქნება მომდევნო"—თქვა მანუჩარმა და საქებარი, დამსახურებული ქება არ დაიშურა სპექტაკლის მონაწილეების მისამართით. ძევრში ნამდვილად არიან თეატრალური, მსახიობის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები, მათი ნიჭის გამოვლენა კი

საიმედო ხელშია—ტატო პატარიძე აქ არის. განუზომელია ტატოს დამსახურება, უდიდესი ენერგია უნდოდა ამ სპექტაკლის ასე უნაკლოდ განხორციელებას.

სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცეს: მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი იყო მისი სიტყვა „განცვიფრებას იწვევს ეს სპექტაკლიო" და ამით ყველაფერი თქვა, სპექტაკლი შეაფასა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, დეპუტატმა დავით გოგბერაშვილმა, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და რეკრუტირების თერჯოლის მუნიციპალური განყოფილების უფროსმა, ვიცე პოლკოვნიკმა ვასილ ტყეშელაშვილმა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსმა გია ლილუაშვილმა. მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარი ძევრელ მოსწავლეებს დაპირდა ექსკურსიის დაფინანსებას, ბატონი გია კი ერთ-ერთ სამხედრო ქვედანაყოფში სტუმრად წაყვანას.

მანუჩარ ფანჩულიძემ მადლობა გადაუხადა მერიას, საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრს დახმარებისა და თანადგომისათვის, სპონსორს, ძევრის სკოლის კურსდამთავრებულს ზვიად მეფარიძეს და რეჟისორს ტატო პატარიძეს, რომელიც ჰონორარსაც არ იღებს თურმე—ესაა საქმის, მოსწავლეების, პროფესიის სიყვარული. სპექტაკლის დასასრულს ტატო სცენაზე მოიხმეს—„მადლობა უფალს, რომ შემაძლებინა დამედგა ეს სპექტაკლი, მადლობა უფალს, თუ გასიამოვნეთ". ნამდვილად გვასიამოვნე ბატონო ტატო, არა მარტო გვასიამოვნე, არამედ მოგვხიბლე და მოგვხიბლა სპექტაკლის მონაწილეებმა. დარბაზი ფეხზე მდგარი უკრავდა ტაშს ტატოს, მონაწილეებს, მთლიანად სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს. ყველა გაახარა დირექტორის სიტყვებმა—ამიერიდან ძევრის სკოლის თეატრალური დასი ტატო პატარიძის სახელობის იქნებაო.

* * *

ამ სპექტაკლის დანიშნულება, გარდა იმისა, რომ მოსწავლეები ეჩვევიან სასცენო ხელოვნებას, დამოუკიდებლობას, იმაღლებენ ცოდნას, ეცნობიან ვაჟას (თითოეულმა ზეპირად იცის სტუმარ-მასპინძელი) სწავლობენ ვაჟკაცობას, მეგობრობას, გატანას, გამძლეობას, ტრადიციების დაცვას და თავგანწირვას, რომ ისინი არასოდეს შებღალავენ ადამიანის სულს, მარად დაიცავენ საკუთარ და ადამიანის უფლებებს, ეყვარებათ ყველაფერი ლამაზი და ვაჟკაცური, არასოდეს დაღვრიან მოძმის სისხლს, უარს ეტყვიან მტრობას, ღალატს...

* * *

არის ღონისძიებები, რომლის შესახებ ინფორმაციის მკითხველისათვის მიწოდება ძნელია, „სტუმარ-მასპინძელი" უნდა ნახო, უნდა ნახო შემსრულებლები: ჯოყოლა—ვოვა ფანჩულიძე, ზვიადაური—ავთანდილ ყურაშვილი, აღაზა—ბარბარე კალატოზი, ზვიადაურის დედა—ნინო მეფარიძე, მუსა—გიორგი ფხალაძე, ქისტები—თაზო ჭანტურიძე, გუგა ხუბულავა, გიორგი გიორგაძე, მათე ხოსიაშვილი და გამორჩეული მთხრობელი—გაბრიელ მეფარიძე.

უნაკლოდ მოაგვარა საბა კუტალაძემ განათების საქმე, გიორგი გოგოლაძემ და ნიკა კუტალაძემ—მუსიკალური თანხლება.

P.S. მუნიციპალიტეტის მერმა დანაპირები შეასრულა—ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ამ სპექტაკლში იღებდნენ მონაწილეობას, ექსკურსია დაუფინანსა, ისინი ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში—ჩარგალში იმყოფებოდნენ.

ძევრის სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, რეჟისორი მადლობას უხდიან ბატონ მანუჩარს.

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა"
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ"-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი"
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872